

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ისტორია / History

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in History

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორები: პროფესორი ლევან გორდეზიანი, პროფესორი თედო დუნდუა, პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის, „ისტორია“, მიზანია მისცეს მომავალ ბაკალავრებს საფუძვლიანი და ღრმა ცოდნა საქართველოს და მსოფლიოს ისტორიის ყველა პერიოდის (უძველესი დროიდან დღემდე) შესახებ. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის მრავალმხრივი ისტორიული განათლების მიცემას (პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური ისტორიის ცოდნას). ისტორიის სხვადასხვა სფეროებთან, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებთან და რეგიონებთან დაკავშირებული სავალდებულო და არჩევითი კურსები მომავალ ბაკალავრებს მისცემს ისტორიული პროცესების გააზრების, ფაქტობრივი მასალის გაანალიზების, ისტორიული ეპოქების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრის, სხვადასხვა ქვეყნების ისტორიული განვითარების სპეციფიკაში გარკვევის საშუალებას. პროგრამის მიზანს ასევე შეადგენს ისტორიის კვლევის ისტორიის შესწავლა; ისტორიის კვლევის სამეცნიერო მეთოდების, სხვადასხვა მიდგომებისა და სპეციფიკის გაცნობიერება.

სასწავლო პროგრამის ფორმატი მოიცავს ლექციებს, სასემინარო მუშაობას, პრეზენტაციებს სტუდენტურ კონფერენციებზე, კონსულტაციებს ლექტორებთან; ასევე განზრახულია სტუდენტების სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობა, მუზეუმებში, არქივებსა და ხელნაწერთა საცავებში მუშაობა. ამდენად, პროგრამა შედგება როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტებისაგან.

სწავლის შედეგები: საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად, სტუდენტებს ჩამოყალიბებული ექნებათ შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება: წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა; საკუთარი ნაციონალური ისტორიის ცოდნა; ევროპის ისტორიის ცოდნა შედარებითი პერსპექტივისათვის; მსოფლიო ისტორიის ცოდნა; თანამედროვე ისტორიული კვლევისა და მსჯელობის ხასიათის ცოდნა; ისტორიული ხედვების განსხვავებულობის გაცნობიერება სხვადასხვა პერიოდსა და კონტექსტში; ზოგად-საისტორიო მეთოდოლოგიის ცოდნა;

პრაქტიკული უნარები: მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია სათანადო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით; ქართულ ენაზე სამეცნიერო წერის უნარი; ინფორმაციის მოძიების საშუალებების ფლობა, ბიბლიოგრაფიული, სარქივო ინვენტარის მოხმარება, ელექტრონული რეფერენციები; კლასიკური (ან აღმოსავლური) ენების ცოდნა;

ზოგადი/ტრანსფერული უნარები: დღევანდელ მდგომარეობასა და წარსულს შორის კავშირის კრიტიკული აღქმა; ტექსტებისა და დოკუმენტების კითხვის, ციტირებისა და შეჯამების უნარი; მრავალმხრივი ისტორიული მასალის თანმიმდევრული ორგანიზების უნარი; დისციპლინის კანონების მიხედვით კვლევის შედეგების ზეპირი ან წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარი.

დასაქმების სფეროები:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს სპეციალობით „ისტორია“ შეუძლია დასაქმდეს არქივში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში (დამატებით პროგრამად „ისტორიის მასწავლებლის“ არჩევის შემთხვევაში) შეასრულოს სხვადასხვა (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო) რედაქციაში

ისტორიკოს-ექსპერტის ფუნქცია. მას აქვს პერსპექტივა იმუშავოს ნებისმიერ ეროვნულ სახელ-მწიფოებრივ (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

დასაქმების პერსპექტივების გაზრდის მიზნით, სასურველია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრმა სპეციალობით „ისტორია“ დამატებით სპეციალობად აირჩიოს: ისტორიის მასწავლებელი, არქეოლოგია, ეთნოლოგია, კულტურის მეცნიერებები, ხელოვნებათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია, დასავლური და აღმოსავლური ფილოლოგიის დარგები, ამერიკის-მცოდნეობა, კლასიკური ფილოლოგია და სხვ.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს სპეციალობით „ისტორია“ შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: საფაკულტეტო სავალდებულო-არჩევითი დისციპლინის „შესავალი ისტორიის მეცნიერებებში“ დადებითი შეფასების მიღება.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სასურველია, სტუდენტმა პროგრამა აირჩიოს არა უგვიანეს III სემესტრისა.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს-ცენტრი თსუ მე-2 და მე-5 კორპუსებში.

major/minor პროგრამების კომბინაციები.

რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ major/minor პროგრამების კომბინაციებს, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისათვის როგორც პროფესიულად, ისე დასაქმების თვალსაზრისით.

major

ისტორია

minor

ეთნოლოგია

არქეოლოგია

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ისტორია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორები: პროფესორი ლევან გორდეზიანი, პროფესორი თედო დუნდუა, პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს ისტორიის დარგში, მისცეს მას ზოგადი ისტორიული განათლება, შეასწავლოს საქართველოს, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდები.

სწავლის შედეგები: დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად, სტუდენტებს ექნებათ შემდეგი კომპეტენციები:

- წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა;
- საკუთარი ნაციონალური ისტორიის ცოდნა;
- ევროპის ისტორიის ცოდნა შედარებითი პერსპექტივისათვის; მსოფლიო ისტორიის ცოდნა;
- თანამედროვე ისტორიული კვლევისა და მსჯელობის ხასიათის ცოდნა;
- მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია სათანადო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- ქართულ ენაზე სამეცნიერო წერის უნარი;
- ინფორმაციის მოძიების საშუალებების ფლობა, ბიბლიოგრაფიული, საარქივო ინვენტარის მოხმარება,
- დღევანდელ მდგომარეობასა და წარსულს შორის კავშირის კრიტიკული აღქმა;

დასაქმების სფეროები: დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს არქივში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, შეასრულოს სხვადასხვა (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო) რედაქციაში ისტორიკოს-ექსპერტის ფუნქცია. მას აქვს პერსპექტივა იმუშავოს ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოებრივ (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გათვალისწინებულია ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: მე-5 სემესტრი.